



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაბრათიონი

შობა-ახალ

ნჯღნ!

თერჯოლა



საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №2 {7007} 15 იანვარი 2020 წელი • www.Terjola.ge



შენ გვასწავლე, იესო, რომ სიყვარულშია ხსნა...

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ის
საშობაო ეპისტოლე



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება შობის
ღრესანსაშულზე (7 იანვარი, 2020 წელი)

ჩვენთან არს ღმერთი!
დღეს ცა და ქვეყანა გალობს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზე-
და მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!“
დიდება და მადლობა უფალს! დღეს უფალმა ცანი მოდრიკნა და ციდან გარ-
დამოვიდა კრავი ღვთისა – უფალი ჩვენი იესო ქრისტე.
რით შევეგებოთ? რა ვუთხრათ? ვუთხრათ, რომ გაჭირვებულნი ვართ; ვუთხ-
რათ, რომ გვჭირდება მადლი ღვთისა... ყველაფერი უნდა ვუთხრათ უფალსა,
უფალი შეისმენს ვედრებასა ჩვენსა.
დალოცვილი და გახარებული იყავით ორსავე სოფელსა შინა.
ჩვენთან არს ღმერთი!

☞2



მოთოვა...

წინასწასწავლად და საშობაო დღეებში...

☞8

„და შენაც ერჩოლებოდი
შიმშილს და
სიღარიბესო“ ... ☞6

გათიე ღამე
ნისქვილში, ☞6
იფიქრე და იოცნებე...

ახალი წლის შემობრძანება ამჯერადაც თოვლის გარეშე
ვიზეიმეთ... მაგრამ, მიუხედავად სამომავლო მცირედ საიმედო
პროგნოზისა, 11-12 იანვარს, ასე ნანატრი თოვლის ფანტელები
მაინც გამოჩნდა... გაუხარდათ დიდებსაც და პატარებსაც...
მართალია, მუნიციპალიტეტის ქვედა ზონის სოფლებში
ფანტელებმა დიდი კვალი ვერ დატოვეს—თოვლის თეთრი
საბურველი მალევე გაიციოდა და გაქრა, მაგრამ სანაცვლოდ
ხვავიანად ჩამობარდნა ზედა ზონის სოფლებში...
ეს კადრები გოგნში სწორედ 12 იანვარსაა გადაღებული... ასე,
რომ ბევრი თერჯოლელისაგან განსხვავებით ძველით ახალ წელს
აქაურები თოვლთან ერთად შეხვდნენ...

ღამაში ოჯახი,
რომელსაც
აფხაზეთში უნდა
ეცხოვრა... ☞5



შენ გვასწავლე, იესო, რომ სიყვარულშია ხსნა...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის

ყოვლადსამღვდლონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო. მოგმართავთ ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო ერნო:

აჰა, დადგა ჟამი ღვთის განკაცების უდიდესი საიდუმლო-სი. დღეს იშვა დამბადებელი, „რომლის მიერაც შეიქმნა ყოველი: მინიერიც და ზეციერიც; ხილული თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი, თუ ხელმწიფებანი,“ დღეს იშვა ის „ვის მიმართ და ვის მიერაც ყოველივე დაიბადა“ (კოლას.1,16).

ამიტომაც ახლა მორწმუნენი გონებით მივისწრაფვით ბეთლემისაკენ, რათა განვიცადოთ 2000 წელზე მეტი ხნის წინ დამდგარი უდიდებულესი ჟამი, როდესაც ამოვლიური პატივისაგან მოკლებულ, აღთქმული მიწის ერთ ცივ და ბნელ გამოქვაბულში აღესრულა სასწაული, რომლის სადარი სამყაროში არაფერი მომხდარა და არც არასოდეს მოხდება.

მიუწვდომელი, გარემოუნერელი, მიუახლებელი ღმერთი განკაცდა, რათა კაცი განლმერთობილიყო; ჭეშმარიტი უფლის მადიდებელი ერის წი-აღში, წმ. დავით მეფის მოდგმა-ში, იშვა ძე ღვთისა და თვალშეუდგამმა ნათელმა ჩვენთან მარადიულად ყოფნა ინება; უკვდავმა მოკვდაობა, უხრწნელ-

მა ხრწნადობა მიიღო, რათა ჩვენ მოკვდავნი და ხრწნადნი სიკვდილის საკვრელთაგან დავეხსენით.

დღეს ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეშობის მახარებელნი ვართ, რადგან ჩვენთან არს ღმერთი! დღეიდან მისი მომძიებელნი ვეზიარებით და უხვად მივიღებთ აქამდე მიუწვდომელ მადლთა სისავსეს, – კეთილმსახურებათა ნიჭსა და უნარს და ხილულ და უხილავ სამყაროს შევლადღებთ:

იხარებდით და აკურთხებდით შემოქმედს ცანი და ქვეყანა, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

იხარებდით და აკურთხებდით უფალსა უფლებათასა ანგელოზნი და ყოველი სულდგმულნი, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

იხარებდით და აკურთხებდით ახალ ადამს მეფენი და მამათმთავარნი, ერნი და ტომნი; აკურთხებდით უფლის ყოველ საქმეს, უგალობდით და განადიდებდით მას უკუნისამდე, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

რომ არა შენი საკვირველი შობა, კაცობრიობას არ ეყო-

ლებოდა მაგალითი უაღმატებულესი სიყვარულისა და მშვიდობისმყოფელისა, ჭეშმარიტი მეფისა, მოძღვრისა და მასწავლებლისა, სახე უზენაესი სიმაღლისა და თავდადებისა, ერთგულებისა და მეგობრობისა; ხატი ზეციური მამა-ძეობისა.

ჩვენ, ამპარტავნებითა და განდიდების სურვილით შეპყრობილნი, საკუთარ თავს ვერასოდეს ვიპოვიდით, ეგოისტური „მეს“ მბრძანებლობას ვერ გავექცეოდით და არც დავთმობდით.

შენ გვასწავლე, იესო, რომ სიყვარულშია ხსნა, რომ სიმაღლებშია – სიმაღლე, სიმაღლეცა და უბრალოებაში, – სიღიავე; მოყვასის მსახურებაში, – სიხარული; გაცემაში, – შეძენა და დათმენაში, – გამარჯვება; რომ მტრის სიყვარულშია სიყვარულის სისრულე და სხვისთვის თავგანწირვაშია საკუთარი სულის პოვნა...

შენი განხორციელებისათვის, მხსნელო, დედამიწაც განემზადა და გიძღვნა ქალწულთა მშვენება, დედათა სიქადული, – წმინდა მარიამი.

გიხაროდენ, ურჩეულესო ჭურჭელო, ყოველთა ნათესავთა შორის სანატრელო (ლუკ. 1.48);

გიხაროდენ, დედაო ღვთისა, ევას ცრემლთა აღმხოცო; ცხოვრების ხეო, სიცოცხლის ნაყოფის მომცემო;

გიხაროდენ, ცოცხალო ტაძარო ღვთისაო, ჩვენს ლოცვათა უფლისადმი აღმწვენელო.

უფლის განგებამ ინება, რომ შენი მზრუნველობით ჩვენც ღვთის ერი გავმხდარიყავით საუკუნეთა მანძილზე მრავალფერ განსაცდელთაგან ვნებულმა მცირე სამწყსომ შენი მფარველობით გაუძლო ათას ქარტეხილთ და დარჩა ქრისტეს ერთგული. დღესაც შენ გასასოებს ჩვენი დამაშვრალი ერი, მრავალთაგან მრავალჯერ ნალაღატები და ჯვარცმული, მაგრამ მაინც გაუტყეველი და ღვთის მოიხედე.

ჩვენც, მონანი და მხევალნი შენნი, მოგმართავთ ცისა და ქვეყნის დედოფალს: კვლავაც შეგნი უძღურებათა ჩვენთა, შეგვავედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, რათა ყოველნი მკვიდრნი იბერიისანი, შეცდომილნი ძენი და ასულნი ჩვენნი, გზასა ჭეშმარიტებისასა შეუდგნენ; ბოროტმზრახველთა, მოშურნეთა და მაჭირვებელთა გულნი ღმობიერ-ჰყავ და დაამშვიდე; დამნაშავეთ სინანული მიეც; საპყრობილეთა შინა მყოფთ, – თავისუფლების სიხარული; უსამართლოთ, – სამართალი; მშვიერთ, – პური; შიშ-



ველო, – სამოსელი; უპოვართ, – სარჩო-საბადებელი; კეთილად მუშაკო, – ღირსი სასყიდელი;...

ურვათა მრავალთა დამტევენელო, ყოვლადღებინო ღვთისმშობელო, ნუგეში-ეც მტირალთ, ყოველივე სასიკეთოდ წარუშართე მადლიერებით ჭირთა დამთმენილთ, ჭაბუკთა და ყრმათა სიმხნე მიჰმადლე და სულიერად განსწავლე, სხეულნი განკურნე, მცოვანი შთამომავალთა კეთილდღეობით გაახარე, უცხოეთში მყოფნი თანამემამულენი სამშობლოში მშვიდობით დააბრუნე, იქ დარჩენილნი კი უფლის სადიდებლად და სამშობლოს საკეთილდღეოდ აღვანე.

განვიმტკიცე სიყვარული, სასოება და შიში უფლისა, ერთგული მსახურება ეკლესიისა, მამულისა და მოყვასისა. მოგვმადლე გული წმინდა და სული წრფელი, გონება ნათელი და შემეცნების სიღრმე, სხეული ჯანსაღი და უვნებელი. გვაშორე მუცლადღებულ ყრმათა კვლა და თვითმკვლევობები.

აღადგინე, დალოცე და განამტკიცე საზღვარნი საქართველოსანი, და მას შინა მკვიდრნი დაიცე „შიშილი-საგან, სრვისა, ძრვისა, ცეცხლისა, მახვილისა, ზედა მოსვლისაგან მტერთასა“, სტიქიონთა ვნებისაგან და ყოველი ბოროტი ძალის მანქანებისაგან; დალოცე და განამტკიცე ოჯახები ჩვენი და აკურთხე იგინი შვილთა სიმრავლითა და ნაყოფთა სიუხვითა.

გევედრებით, მეოხ-ეყავ მართლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა წინაპართა, მეფე-დედოფალთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, სამშობლოს ერთგულთა და თავდადებულთა მონათა და მხევალთა შენთა, მომხსენიებელთა გარეშე დარჩენილთა ყოველთა; გევედრები შორებულთა და მახლობელთათვის, რომელნი შენევენასა ჩვენსა შემოვედრებულ არიან, რათა ყოველნი შემოქმედმან სავანესა მართალთათვის გამზადებულსა დაანესოს.

არ განვეშორო დედაო, არ-

ცა ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და ჩვენ მსასოებელთა შენთა, მეოხ გვეყავ წინაშე მისა, რათა მართალთა თანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და სიყვარულსა დაუსრულებელსა, – მამასა და ძესა და წმინდასა სულსა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ბეთლემს შობილო ქრისტე ღმერთო, ამ დიდებულ ღამეს, სულითა და გონებით შენსკენ მოლტოლოვილნი, კანდლად გინთებთ ჩვენს ლოცვა-ვედრებასა და ქება-დიდებას; ოქროს, გუნდრუკისა და მურის ნაცვლად ძღვნად მოგართმევთ ჩვენს გულებს, სიყვარულსა და ერთგულებას, კრძალვითა და თავყვანისცემით მოვეგებებით და ვხმობთ:

დიდება შენს მობრძანებას, ყრმაო, მშვიდობის მთავარო! (ეს.9,5)

დიდება შენს გარდამოსვლას, უფალო საბაოთ! (ეს. 37,16)

დიდება შენს მოვლინებას, ადონაი უფალო! (ეს. 37.3)


გაკურთხებთ და აღგამაღლებთ შენ საუკუნითაგან უკუნისამდე და ვაკურთხებთ მშობელსა შენსა, დედათა შორის კურთხეულს (ლუკა 1.42).

და კიდევ ერთხელ შეგთხოვთ, მოჰფინე შენი მშვიდობა, შენი წყალობა, ურწმუნოებით დამძიმებულ მშფოთვარე მსოფლიოს; ავის და კარგის გარჩევის უნარი და სიბრძნე მოგვეცე და შენი სასუფეველის მკვიდრნი გავგზადე.

„ქრისტე იშვების, – ადიდებდეთ! ქრისტე ზეცით, – მიეგებვოდეთ! ქრისტე ქვეყანასა ზედა, – ამაღლდით... კვლად ბნელი დაიხსნების, კვლად ნათელი მოიქცევის... ძველნი წარხდეს, აჰა, იქმნა ყოველივე ახალ“ (გრ. ღვთისმეტყველი), გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



„და შენაც ერჩოლებოდი შიმშილს და სიღარიბესო“ ...

...ეს ერთი პნკარია შოთა ნიშნიანის ბრწყინვალე ლექსიდან „ხარი“. ხარი დღეს აღარ „ერჩოლებს“ შიმშილს, ამიტომ მთიან გოგნში, სადაც წლების წინ და ოდითგან, ყოველ მეორე ოჯახს მაინც ჰყავდა ულელი ხარი, ან ცალუღელა, ახლა 10-15 ოჯახს თუ ჰყავს. ვერავის გაამტყუნებ, ვერავის მოუნოდებ, ყოველ მეორე ოჯახს ახლა მინი ტრაქტორი აქვს და პატარ-პატარა, აღმართ ნაკვეთებს ამუშავებენ. ორმაგად დასაფასებელია მეურნე, რომელიც მიუხედავად სიძნელისა, ხარს არ ელევა, დასაფასებელია ის, ვინც ტრადიციას აგრძელებს, მისდევს ძირძველ პროფესიას ხარის ჭედვას და მჭედლობას, ამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ დარგს.

არის გოგნში ძეობაც, ქორწილიც, დიდი სტუმრიანობაც და ნადიმიც, სამწუხაროდ, გარდაუვალი „ალაპ-ქელეხიც“, მაგრამ საამისოდ—ხარს ყელს აღარავინ „აღადრავს“.

გოგნში ხარის ჭედვის მცოდნე და გამოცდილი მჭედელი დღესაც ბევრი ჰყავს, ბევრი შეიძლება ახლა ამ საქმიანობით არც იყოს დაკავებული,



მაგრამ იცის, თუ დასჭირდა გამოიყენებს. ხარის ჭედვის ოსტატები უფრო მეტი იყო წინა წლებში, რადგან ხარი, როგორც ვთქვით, ყოველ ოჯახს თუ არა, ყოველ მეორეს მაინც ჰყავდა, ხარს კი ხშირი ჭედვა სჭირდება, განსაკუთრებით ქვიანქვიმიან ადგილებში, გააჩნია ხარის დატვირთვის და ხედნას—თქვა ხარის ჭედვის უბადლო ოსტატმა სოსო გაბრიჭიძემ.

სოსოს წინაპრები: ალფეზი, მანოელი, ჭუტუნა, მათი წინაპრებიც ხარს ჭედავდნენ, სოსოს არ უნდა ამ ძირძველ და საინტერესო პროფესიას მიმდევარი არ ჰყავდეს, ცდილობს დაინტერესოს ახალგაზრდები.

სხვა დროსაც ყოფილვარ გოგნში და არც მომწინდებმა გოგნელებთან ურთიერთობა, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობა სამი თანამშრომლითაა წარმოდგენილი და სამივე იყო ჩართული ჩემს მეგზურობაში, ხარის ჭედვის და სამჭედლოში ქურის დანთების პროცესის ორგანიზებაში.

იმ დღეს სოსო გაბრიჭიძემ ავთანდილ ბრეგვაძის ხარი დაჭედა. მომხმარებებს ავთანდილ არაბიძეს, მურმან გაბრიჭიძეს და ხარის მეპატრონეს მომზადებული ჰქონდათ აუცილებელი მონყობილობა: კიპორჯი, ულელი, ჩაქუჩი, გაზი, ნალის სახვერეთი, ფლოქსათალი, ნალევი, ნალის ლურსმნები, ბამბა, იოდი... პირველად ხარი გააკავეს, მოფერებით, ხარი წუხს, იცის და გრძნობს, რომ მტკივნეული პროცესი ელოდება, მერე ბანრით შეკრეს, სათითაოდ ფეხები კიპორჭით აანევივნეს, ჩლიქები გაუნმინდეს, ძველი ნალი აავდეს და ახალი დაადეს. მოიხმარეს რვა ნალი და ოცდათორმეტი ლურსმანი.

ძნელია ხარის ჭედვის პროცესის ყურება, უსიამოვნო გრძნობა გეუფლება მისი „ჯილა-საცერა“ მუდამ ნალვლიან თვალელებში ჩახედვისას.



ხარი სოსო გაბრიჭიძის სახლთან ახლოს დაიჭედა, იქვე, სულ რაღაც ას მეტრში სამჭედლოს ერთთვლიანი ქვიტიკირის შენობა დგას. აქ ეწოდნენ მჭედლობას მიხეილ გაბრიჭიძის წინაპრები: მანოელი, ალფეზი, ბეჟანი, მიხეილსაც აქ უდგას ქურა, საბერველი, გრდემლი, აქ აქვს ურო, ჩაქუჩი, აქ ყრია ტყიბულიდან ჩამოტანილი ნახშირი, რკინის, ფოლადის ნაჭრები, ქურა ანთილი დაგვხვდა, ნახშირი დანაკვერჩხებული.

ჩვენს თვალწინ დამზადდა ნალი ჩაქუჩის ასამდე დარტყმით და ნალის ლურსმანი, ჩაქუჩის ორმოცდაათამდე დარტყმით, რბილი ფოლადი მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებით ადვილად დამუშავდა. ძვირი ყოფილა ფოლადი, უფრო ძვირი ნახშირი... მიხეილი მაინც ანთებს ქურას—პირავს თოხს, ნამგალს, ბარს, ნაღს, ნაჯახს, ცულს... იშვიათად იყიდება ნაკეთობა, „მუქთადაც“ ბევრი უმუშავნია, ესაა საქმეს ვერ ელევა, წინაპრების პატივისცემით, პროფესიის სიყვარულის და იმის გამოც, რომ იქნებ ვინმე დაინტერესდეს ამ იშვიათი ხელობით.



უყვართ სოფელში ერთმანეთი, უყვართ მიხეილი, უყვართ სოსო და ერთად ყოფნა, სუფრის გაშლას აქ რაიმე მიზეზი არ სჭირდება, სამჭედლოში ღამეც ბევრი უთენებიათ, ჯორკოებზე ჩამომჯდართ და მდგომარედაც...

მერის წარმომადგენელი გოგნის ტერიტორიულ ერთეულში დათო რობაქიძე იმ დღეს იუბილარი იყო. თანამშრომლებმა და რამდენიმე ახლობელმა ტორტი მოართვა წარწერით—მოიყვანე ცოლი! სოფლის ხელმძღვანელის და სპეციალისტების: მურადის და მარინას ერთი მიზნისკენ—გოგნის კეთილმოწყობისათვის სწრაფვა არის უპირველესი, ითქვა, მუნიციპალიტეტის მერის და მერიის ზრუნვასა და ყურადღებანიობაზე. მართლაც ბევრი რამ გაკეთებულა გოგნში, გაკეთებულზე, გასაკეთებელზე და სამომავლო გეგმებზე მომავალში გვექნება საუბარი.

ზამთრის მიწურულს, მაგრამ უჩვეულოდ მზიან და თბილ დღეს, გოგნში ასვლის მიზანი იყო ერთადერთი—შეხვედრა ძირძველ და საინტერესო, არდასავიწყებელი პროფესიის ადამიანებთან—ხარის ჭედვის მცოდნე სოსო გაბრიჭიძესთან და მჭედელ მიხეილ გაბრიჭიძესთან, ხარის დაჭედვის და სამჭედლო ქურა-საბერველის მუშა-პროცესის შეძლებისდაგვარად აღწერა, რაც ფოტომასალით უფრო თვალსაჩინოა. საახალწლო სურვილად კი შოთა ნიშნიანის ლექსის ბოლო სტრიქონი მთელ ქვეყანას გამოადგება. „ნეტავი ღმერთო, მეც მომცა ჯანი და მადა ხარისა, სიტყვა ხარივით გამწვევი მამულის გასახარისად, ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი, ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენი“.



გათიე ღამე წისქვილში, იფიქრე და იოცნებე...

ახლა წისქვილში ღამეს აღარავინ ათევს, მაგრამ ხანდაზმულნი ამბობენ, რომ დაფქვის მოლოდინი, რიგში დგომა, მინდის-დაფქვის გასამრჯელოს ალბის პროცესი, ბარდუბნიდან, თერჯოლიდან, ახალთერჯოლიდან, ენრიდან, ღვანკითიდან, სიმონეთიდან, სვირიდან ურმით, ცხენით მოსული ადამიანების საუბარი, გაცნობა, პატარა „წელწყვეტილა“ ჭიქებით, საუკეთესო ღვინით, ყველით, მწვანელით, კომბოსტოს მწნილით განყოფილი სამფხვა მაგიდა და ჯორკოები, სასიამოვნო განწყობას ქმნიდა თურმე. სოფლიდან მოსული ადამიანები ერთმანეთს ეცნობოდნენ, ჰყვებოდნენ ათას ჭორ-მართალს, ეფერებოდა ხალხი ერთმანეთს, ერთმანეთთან ნათელ-მორონობასაც ამყარებდნენ და მოყვრდებოდნენ კიდევც...
როდის აშენდა პირველი წისქვილი სოფელ სიქთარვაში მდინარე ძერულზე, უცნობია. დღეს მოქმედი 200 წლის ყოფილა და ამ ხნის მანძილზე მენისქვილები შეაკეთებდნენ როგორც იცოდნენ და რაც ჰქონდათ იმით.

სეფე, ილია იონა, ბიჭტორი, დომენტი, ბიჭიკო, ავაბო, ვასიკო, ლადია, კალენიკე... ესენი არიან პატარიძეების და ცხადაძეების წისქვილებში სხვადასხვა დროს მომუშავენი, ეს პერიოდი დაახლოებით

მაძეების, ბეღელაძეების, ცხადაძეების წისქვილები ორ-სამ თვლიანი ხვიმერათი და დიდი, მრგვალი ქვებით.

ახლა მხოლოდ ერთი, პატარიძეების წისქვილია შემორჩენილი—ფეროს წიდა მთლიანად გატანილია და სათავე-ნაგებობაც იმ დროს დაზიანდა კიდევ უფრო მეტად.

წისქვილში დღეს სხვა თაობა მუშაობს—ზურიკო, გაა. ყველაფერი ძველებურადაა, შუა ცეცხლი, ჯორკოები, ნარიყალა, სუფრაც და პატარა კარადა, სადაც სულ არის რამე „ნასახემსებელი“.

წისქვილში აღარაა ხალხმრავლობა, აღარც სადღეს-ღამისოდ მუშაობენ, ისე როგორც მაშინ, როცა ყველა წისქვილი მუშაობდა. იშვიათად, მაგრამ მაინც არის იმდენი საფქვავე, დილაღე უნდებამენისქვილე მის დაფქვას, მერე ცვლა უნდა მოვიდეს!

და მიედინება ძვერიდან სიქთარვაში მდინარე ძერულა უხსოვარი დროიდან, უხსოვარი დროიდან ბრუნავს წისქვილის ქვები, ქვეშ იყოლებს სიმინდის მარცვლებს, მენისქვილე კი ხან იღებს მინდს, ხან არა...

ვინც დაივიწყა წარსული, დაივიწყა მომავალი—ნათქვამია. არც ძირძველი ტრადიცია უნდა დავივიწყოთ, წინაპართა წინაპრების გზა,



200 წელს ითვლის და იმას იქეთ რამდენი წელია კიდევ არავინ იცის, არც იცის ვინმემ ვინ იყო პირველი მენისქვილე და როდის გაიმართა პირველი წისქვილი. მეხსიერებას შემორჩა: ბატონიშვილების, ხვარეშების, იშხნელების, ქათა-

მადლობა ღმერთს სიქთარვის მოსახლეობას აღარ უჭირს, ალვადგინოთ ცხადაძეების წისქვილი, ვუპატრონოთ არსებულს.

გვერდი მოამზადა შუშუნა ცხადაძემ



მამაცი მეხანძრეები საგუშაგოზე

კუნთმავარი, გულადი და პროფესიონალი ახალგაზრდა კაცები არის დაკომპლექტებული თერჯოლის სახანძრო-სამაშველოს განყოფილება, რომელსაც ასევე პროფესიონალი და გამოცდილი მუშაკი კახა ვარდოსანიძე ხელმძღვანელობს.

კოლექტივი, როგორც იტყვიან ერთსულ და ერთ ხორც არის შეკრული, რათა ოპერატიულად გავიდეს შემთხვევის ადგილზე და ჩააქროს ცეცხლის კერა, განსაცდელისგან იხსნას ადამიანები, განადგურებას გადაარჩინოს დოვლათი. ინფრასტრუქტურა, ტყის მასივები და ა.შ.

მრავლად არის იმის მაგალითები, როცა ჩვენმა მეხანძრეებმა სიმამაცისა და დიდი პროფესიონალიზმის მაგალითები გვიჩვენეს.

როგორც წინა წლები, ისე 2019-ც ხასიათდებოდა საკმაოდ ხშირი ხანძრებით. ამის გამომწვევი მიზეზი გახლდათ ხან-

დიდგორის ველზე... სადღელამისო რეჟიმში მოქმედებდნენ ისინი და ადგილობრივ ძალებთან ერთად იმარჯვებდნენ სტიქიაზე, რომელიც გადანვით ემუქრებოდა ველ-მინდვრებს, ნარგავობას, ტყის მასივებსა და ა.შ. სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობდა ღამის საათებშიც, ძნელ, მიუდგომელ ადგილებშიც...

განსაკუთრებით ფხიზლობდნენ ისინი ნინასახალწლო დღეებში. გაძლიერებული სადღელამისო მორიგეობა, გამართულ მდგომარეობაში მყოფი სპეციალტომობილები და სხვა ტექნიკური საშუალებების სრული კონცენტრაცია ქმნიდა უსაფრთხოების სრულ გარანტიას.

ახალი წლის მობრძანებას ჩვენი მეხანძრეები საკუთარი ოჯახების ნაცვლად სამუშაო პოსტებზე შეხვდნენ, რა თქმა უნდა „მშრალ“ მდგომარეობაში.

გმადლობთ მამაცო კაცებო. თქვენს სახელებს სიამოვნებით წარვუდგენთ ჩვენს



გრძლივი ვვალვები, მაღალი ტემპერატურა, ასევე ადამიანების უყურადღებობა და გაუფრთხილებლობა.

ჩვენი გაზეთი წერდა ამ ყველაფერზე. სიამოვნებით ვასრულებდით ადამიანების თხოვნას, გაზეთის ფურცლებზე გამოეხატათ მადლიერება მამაცი კაცების მიმართ, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი ებმებოდნენ სტიქიასთან ბრძოლებში.

როგორც უკვე ვთქვით, 2019 წელიც არ იყო დაზღვეული უსიამოვნო მოვლენებით. პერიოდულად გაისმოდა საგანგაშო სიგნალები მუნიციპალიტეტის სოფლებიდანაც და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდანაც.

შიგა, შედარებით მცირე მასშტაბიან კერებს ჩვენი მეხანძრეები უპრობლემოდ და დროულად უმკლავდებოდნენ. ასევე წარმატებით და ოპერატიულად მოქმედებდნენ ისინი ზესტაფონის, ტყიბულის, წყალტუბოს, ვანის, სამტრედიის მუნიციპალიტეტებში... ატენის ხეობაში,

მკითხველებს: სერგო ნემსაძე, ლევან გვაგაშელაშვილი, კოტე არეშიძე, ემზარ გენაძე, ლევან გენაძე, კობა რობაქიძე, დათო ჩიტიძე, გელა ცირეკიძე, მანუჩარ ლილუაშვილი, შმაგი ქოჩიაშვილი, გორბუცხრიკიძე, ჯამბულ სირაძე, გიორგი სირაძე, კობა ჩხარტიშვილი, თეიმურაზ პერანიძე, დათო სოფრომაძე, კახა გელიაშვილი, ვალერიან ნემსაძე, ზაალ ფოცხვერაშვილი, ზურაბ დევიძე.

მრავალ შობა-ახალწლებს დაესწარით თქვენს ოჯახებთან ერთად.

ცეცხლზე გამარჯვება გეზეიმოთ. გვჯერა თქვენი!

ჩვენს მოსახლეობას კი მეტი სიფრთხილისკენ მოვუწოდებთ, რათა ნაპერკალს არ მიეცეს ალად ავარდნის შესაძლებლობა. გვახსოვდეს ისიც, რომ „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ და რომ „ცეცხლთან თამაში“ არ შეიძლება.

ყველამ ერთად დავემტკიცოთ სტიქიას, რომ მასზე ძლიერები ვართ!

ნუზხარ ბამყრელიძე

ოლია ქოჩიაშვილი

ოლია, ჩემო დაუფინყარო ადამიანო, მეთედ გილოცავ დაბადების დღეს, 15 იანვარს უშენოდ, შენ უკვე ათი წელია ნახვედი ამ ქვეყნიდან, მარადისობაში გადაინაცვლე. ჩვენს გულეებში მუდამ იცოცხლებ. ყოველთვის სიყვარულით გაგისხენებთ, შენს სხოვნას არაფერს მოაკლებენ შენი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. ყველანი წარმატებას აღწევენ თავიანთ საქმეებში, იზრდებიან, მრავლდებიან. დასანანია ამას ვერ მოესწარი ჩემო ძვირფასო. შენი უდიდესი ღირსება იყო ის, რომ იყავი ყოველმხრივ დაჯილდოებული, განათლებული, კეთილშობილი, სულგრძელი, უანგარო და მოსიყვარულე ადამიანი.

შენ არა ხარ ჩვენთან, მაგრამ შენი ოცნება ფრთაშესხმულია ჩვენი შვილების

ძალისხმევით და მე ბედნიერი ვარ ამით. შენს გარეშე ძალიან მიჭირს, ჯანმრთელობა შემერყა, ალბათ მალე ერთად ვიქნებით.

იმედი მაქვს ჩვენი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები ღირსეულად გააგრძელებენ ცხოვრებას და ჩვენს სახელს დავინწყებან არ მისცემენ, სანამ ცოცხალი ვარ მუდამ ვილოცებ შენი ღამაში სულისთვის, რომელიც უკვე ცათა სასუფეველშია და დევანთებ სანთლებს შენს საფლავზე.

მონატრებით შენი მუდამე მამია ქოჩიაშვილი



ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამიძიარს უცხადებენ დალი კუბლაშვილს მუდამის

მურთაზ მაპარაძის გარდაცვალების გამო.

ენრის ადმინისტრაციული ერთეულის, ბაგა-ბაღის და საექიმო ამბულატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მალხაზ უკლებას სიდედრის და ლეილა რობაქიძეს დედამთილის

ანნა ბასილაძის გარდაცვალების გამო.

თერჯოლა მაღლა, სულ მაღლა!



საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა ჩვენს ქალაქში

თერჯოლის სპორტსკოლის ნორჩ მოჭადრაკეთა ენდშპილი

ნინო წიგნივაძემ 2019 წლის მინურულს ხობში გამართულ საჭადრაკო ფესტივალზე 8 წლიან გოგონათა შორის დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო ქ. ქუთაისში იმერეთის ჩემპიონატზე სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში—მესამე პრიზიორი გახდა.

ქუთაისშივე, იმერეთის ჩემპიონატზე, თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ გიორგი რობაქიძემ მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ღვანკითის საჯარო სკოლის მოსწავლე ნათია კუბლაშვილი—მესამე ადგილი.

ვულოცავთ და მომავალ წარმატებებს ვუსურვებ ნიჭიერ მოჭადრაკეებს და მათ მწვრთნელს.

ქ. ქუთაისში ჩატარდა იმერეთის ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის სწრაფ ჭადრაკში.

10 წლამდე ასაკის მოასპარეზეთა შორის წარმატებით გამოვიდა თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი ბუცხრიკიძე, რომელმაც საპრიზო მეორე ადგილი დაიკავა და დაჯილდოვდა მეორე ხარისხის დიპლომითა და ვერცხლის მედლით.

ვულოცავთ მას და მის მწვრთნელს ეროვნული ოსტატობის კანდიდატს მერი ჩაფიჩაძეს.




სპორტის სასახლეში ჩატარდა იმერეთის ღია პირველობა სპორტულ აკრობატიკაში, საოქმო მონაცემები ასეთი გახლავთ: მოზარდთა I თანრიგი—III ადგილი—ნინო სახელაშვილი, ირინე გენაძე, ანი ქოჩიაშვილი; გოგონათა სამეული II თანრიგი.

მოზარდთა მესამე ადგილზე გავიდნენ: თამარ სირბილაძე, ლიზი ჩიტიძე, ბარბარე მარუაშვილი. ასევე გოგონათა წყვილი: თათია ჯავახიშვილი და ლიზი ნებიერიძე (გუნდის მწვრთნელი ლალი დიაკონიძე).

წვირმოტეხილი ფანქრით

- თოვლის დადებას რომ მპირდებოდი ორი წელია, სულ ეს არის თვალის მოსატყუებლად რომ წამოთოვებ?
- ბერიკაცო, პროექტი ჩამივარდა და პირი მარტლა შევირცხვინე. ეს ერთიც მაპატიე და აგერ მარტი მოდის, ბელორუსის ნაკრებთან სამ ქულას დავედებ!



წინასასახლლო და საშობაო დღეებში...

ტრადიციულად ლამაზად მორთული შეეგება თერჯოლა ახალი, 2020 წლის შემობრძანებას. ქალაქის ცენტრში, დიდ ნაძვისხესთან, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, 31 დეკემბერს ბევრმა თერჯოლელმა და სტუმარმა მოიყარა თავი. საახალწლო კონცერტი, რომელიც თერჯოლის მერიის, მისი განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (ხელმძღვანელი გ. თურქაძე) ხელმძღვანელობით ჩატარდა და ყველა ასაკის მაყურებელზე იყო გათვლილი გულგრილს ნამდვილად არავის დატოვებდა. მუნიციპალიტეტის შემოქმედებითა კოლექტივებმა, სიმღერის ანსამბლებმა: „იმერეთმა“, „მასპინძელომ“, „იამემ“, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმერეთმა“, „საპოვნელამ“, „GEO-გენმა“, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ხალხურ საკრავთა ანსამბლის წევრებმა და სხვებმა შეკრებილ საზოგადოებას საზეიმო განწყობა შეუქმნეს.

12 საათზე კი ლამაზმა ფეიერვერკმა სრულიად თერჯოლას ახალი წლის შემობრძანება ამცნო...

ახალი წლის მოსვლა განსაკუთრებით ბავშვებს ახარებს, ამიტომაც ახალი წლის დღეები განსაკუთრებული იყო მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში. ლამაზი, ბრწყინვალე სათამაშოებით მორთულ ნაძვის ხესთან კარგად იმზიარულმა პატარებმა, იცეკვეს, იმღერეს, ლექსებიც წაიკითხეს, მათ თოვლის ბაბუაც ესტუმრათ საჩუქრებით...

ლამაზი ღონისძიებებით აღნიშნეს ახალი წლის შემობრძანება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში... საზეიმოდ მორთული საკლასო ოთახები, ინტერიერები, ნაძვის ხეები და ღონისძიებები სხვადასხვა სცენარით...

გამორჩეული იყო საახალწლო ღონისძიებები საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში, ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო საგანმანათლებლო და ასევე სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლებში. კარგად ორგანიზებული ღონისძიებები ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის კლუბებსა და წრეებში. ცენტრში რამდენიმე დღის განმავლობაში აღნიშნავდნენ ახალი, 2020 წლის შემობრძანებას...

ახალი წლის შემობრძანება უკეთესის იმედითა და სურვილით აღინიშნა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაცია-დანესებულებებში, ჩატარდა რამდენიმე კორპორაციული საღამოც...

და რა თქმა უნდა, ტრადიციისამებრ, ყველაზე პატარებისათვის, საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისა და საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ტრადიციული საშობაო-საახალწლო კვირეულიც გაიმართა.

8 იანვარს, 12 საათზე, ახალი დეკორაციებით, საახალწლოდ მორთულმა სპორტის სასახლემ პირველ სეანსზე შეკრებილ პატარებს უმასპინძლა. საშობაო-საახალწლო პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთობლივი ჩართულობით შედგა,

წელს უკვე მეთერთმეტედ გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ამჯერადაც მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურია (უფროსი გ. თურქაძე), აქტიურად იყო ჩართული სახელოვნებო განათლების, კულტურის და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი (უფროსი ს. დევიძე).

საშობაო ზღაპრის მომზადება და დადგმა ეკუთვნის კულტურის სახლის (დირექტორი ლ. ბუსკივაძე) სახალხო თეატრის შემოქმედებით კოლექტივს. რეჟისორი და სცენარის ავტორია მამუკა ცერცვაძე, სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: თინათინ პატარიძე, ლელა ამირანაშვილი, პაატა მაკარიძე, დიმა არეშიძე, ზვიად მაკარიძე, ვია ნიკოლაძე, გენადი ტოფაძე, ნუკრი ზამბახიძე, ელა შოთაძე, ანი ცხადაძე და ანი დადეშელი.

მხატვარი: თემურ აბულაძე, ქორეოგრაფი: თამარ ჭანკვეტაძე, მუსიკალური გაფორმება: გიორგი ჭანკვეტაძე, სიმღერის ტექსტის ავტორია: გელა ქოჩიაშვილი, რეჟისორის ასისტენტი: ირინა ბუცხრიკიძე, გარდერობის მომსახურეობა—იზო გაჩეჩილაძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ და მხატვრულად აფორმებენ ანსამბლ „საპოვნელას“ და „GEO-გენის“ მოცეკვავეები, მომღერალი მარიამ ქარქაშაძე, ტანმოვარჯიშეები (ხელმძღვანელი ლალი დიაკონიძე). მათ მიერ შესრულებულმა ნომრებმა მეტი ხიბლი შესძინა სპექტაკლს, რომელიც აპლოდისმენტების ფონზე მიმდინარეობდა.

ერთი კვირის განმავლობაში საშობაო სპექტაკლი მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა და საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებმა ნახა. სპექტაკლი დღეში ორ სეანსად ტარდებოდა. თითოეულ წარმოდგენას გურამ თურქაძე ხსნიდა ახალი წლისა და შობის დღესასწაულის მილოცვითა და საუკეთესო სურვილებით.

წარმოდგენებს პატარებთან ერთად მათი მშობლები, ან ბებია-ბაბუები თუ სხვა ახლობლები ესწრებოდნენ.

საშობაო ზღაპრის ჩვენება, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში 2619-მა ბავშვმა ნახა, დასრულდა 13 იანვარს, საღამოს. თითოეული წარმოდგენის შემდეგ პატარები ტკბილეულის ლამაზი შეფუთვით ხელდამშვენებულები და ვახარებულები ტოვებდნენ სპორტის სასახლეს. მთელი კვირის განმავლობაში თუ რეპეტიციის დღეებში საშობაო პროექტის განხორციელებაში აქტიურად იყო ჩართული და შემოქმედებით კოლექტივს მხარში ედგა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის თითოეული მუშაკი (დირექტორი ი. ჩხეიძე).

საშობაო სპექტაკლებს სხვადასხვა სეანსებზე დაესწრნენ მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ბონდო სოფომაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე, მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც პატარებს საჩუქრებს გადასცემდნენ...

12 იანვარს, საღამოს სეანსზე მყოფმა პატარებმა კი, გარეთ, დარბაზიდან გამოსულებს კიდევ ერთი სიურპრიზი, ეს ზამთრის პირველი თოვლის ფანტელებიც იხილეს...

ფეხბედნიერი ახალი წელი დადგომოდეთ ჩვენს პატარებს და სრულიად საქართველოს!

მზია ცქიფურიშვილი



<p>შპს „თერჯოლა“</p> <p>გამომცემელი ვალერიან ბოგიაშვილი 599 92 49 75</p> <p>მთავარი რედაქტორი დავით კლდიაშვილი 599 91 24 14</p> <p>სარედაქციო კოლეგია</p> <p>რეგისტრაციის №53/5/ბ-22 გამოდის თვეში ორჯერ</p>	<p>კორესპოდენტები:</p> <p>ნ. გამყრელიძე—555 78 08 55 ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16 ჟ. ცხადაძე—558 90 82 55 მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41</p> <p>ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru</p>	<p>აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში</p> <p>მისამართი: თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2 დაიბეჭდა ქუთაისის „შპს „ხომლი ინ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33</p>	<p>ჩვენი რეკვიზიტები: „ლიბერთი ბანკი“ LBRTGE22, ანგარიში GE32LBO113133960124000 ს/კ 231948872</p>
---	---	--	---